საქართველოს კანონი

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, №12, 1984 წელი, მუხ. 421) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 165^{11} მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 165^{11}. დამსაქმებლის მიერ საკუთარი ან დასაქმებულის სახელით საპენსიო შენატანის განხორციელების ვალდებულების დარღვევა

1. დამსაქმებლის მიერ საკუთარი ან დასაქმებულის სახელით საპენსიო შენატანის განხორციელების ვალდებულების დარღვევა (მიუხედავად გამოვლენილი დარღვევის რაოდენობისა) –

გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით.“.

2. 229^{8} მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 229^{8}. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს საპენსიო ფონდი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს საპენსიო ფონდის შესაბამის ორგანოებს/ სამსახურებს „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში აქვთ ამ კოდექსის 165^{11} მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელების დადების უფლება.“.

3. 239-ე მუხლის 76-ე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„76. ამ კოდექსის 165^{11} მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ელექტრონულად ადგენენ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს საპენსიო ფონდის საამისოდ უფლებამოსილი პირები საქართველოს საპენსიო ფონდის მიერ დამტკიცებული ფორმების შესაბამისად.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2025 წლის 1 მაისიდან.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი

თბილისი,

27 ივნისი 2024 წ.

№4325-XIVმს-Xმპ